

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ესეს სწავლება: წერის პრინციპები და მეთოდოლოგია

ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი

რეზიუმე

ესე არის ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრი. არსებობს სხვადასხვა სახის ესე: ბელეტრისტული, ფილოსოფიური, ისტორიული, სამეცნიერო, კრიტიკული.

ესეს ჟანრულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გააჩნია კომპოზიციური თავისუფლება, რაც ესეს შექმნისა და აგების მრავალფეროვნებას გულისხმობს. ასევე, ესეს აქვს მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალობა და სუბიექტივიზმი, მკვეთრად გამოიხატება პლემიკური და კრიტიკული ანალიზი.

ესეში გამოთქმულია ინდივიდუალური შთაბეჭდილებები და შეხედულებები. ესე თავისი აგებულებითა და ჟანრობრივი მახასიათებლებით ძალზე ახლოს არის ერთი მხრივ, ლიტერატურულ ნარკვევთან, ხოლო მეორე მხრივ, სამეცნიერო ნაშრომთან. ესესტური სტილისათვის დამახასიათებელია განათლებულობა, საკითხის წვდომისა და ანალიზის უნარი, ასოციაციური აზროვნება, აფორიზმულობა, ღიაობა, სასაუბრო ინტონაცია.

პირველი ესესტური ჟანრის ნაწარმოებები ქართულ ენაზე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, რეალიზმის ეპოქაში იქმნება. ილიაჭავჭავაძის, აკაკიწერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წერის ესესტური ფორმის შიდადგენილება.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური ნაშრომი, ესეს წერის მეთოდები

ესე¹ (ფრანგ. essai ცდა, მოსინჯვა; ინგლ. essay ნარკვევი; ლათ. *exagium* აწონვა) ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ცდას. ესეს პარალელური ფორმებია ესე დაესე, თუმცა ქართული ენის

¹ქართულ ენაში ესეს დაწერილობის რამდენიმე პარალელური ფორმა არსებობს: ესე, ესე, ესეი და ა. შ. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში სწორ ფორმად მითითებულია ესეი (იხ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ტ. ...). თუმცა სხვადასხვა სასწავლო მასალასა და სახელმძღვანელოში იხმარება ესე. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ერთგვაროვნების შესანარჩუნებლად წინამდებარე ნაშრომში ინგლ. essay-ს აღსანიშნავად გამოვიყენებ ბოლო ხანს დამკვიდრებულ ფორმას – ესე (ნ. პ.)

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ორთოგრაფიულ ლექსიკონში მითითებულია, რომ სწორი ფორმა აესე. ესეარისლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრი. პროზაული თხზულება, რომელიც მოცულობით არ არის სვრცელი, თუმცა გააჩნია დასრულებული სახე და ახასიათებს მსჯელობის ლოგიკური განვითარება. არსებობს სხვადასხვა სახის ესე: ბელეტრისტული, ფილოსოფიური, ისტორიული, სამეცნიერო, კრიტიკული.

ესე ჟანრულ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ გააჩნია კომპოზიციური თავისუფლება, რაც ესე შექმნისა და აგების მრავალფეროვნებას გულისხმობს. ასევე, ესე აქვს მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალობა და სუბიექტივიზმი, ესეში ხშირად ვხვდებით საუბრის ფორმის ელემენტებს, მკვეთრად გამოიხატება პლემიკური და კრიტიკული ანალიზი.

ესეში გამოთქმულია ინდივიდუალური შთაბეჭდილებები დაშეხედულებები. ესე თავისი აგებულებითა და ჟანრობრივი მახასიათებლებით ძალზე ახლოს არის ერთი მხრივ, ლიტერატურულ ნარკვევთან, ხოლო მეორე მხრივ, სამეცნიერო ნაშრომთან. ესე ტიპის ტექსტებად და ნაწილობრივ სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს ტრაქტატი, სტატია, ნარკვევი. ესესტური სტილისათვის დამახასიათებელია განათლებულობა, საკითხის წვდომისა და ანალიზის უნარი, ასოციაციური აზროვნება, აფორიზმულობა, ღიაობა, სასაუბრო ინტონაცია.

ესე, როგორც ლიტერატურის ფორმა პირელად გამოყენებული აქვს ფრანგ ჰუმანისტსა და ფილოსოფოსს, მიშელ მონტენს (1533-1592) “ესეები”(ფრანგ. Les Essais) 1580წელს. მან ლიტერატურაში ნარკვევის, რომანისა და მოთხრობის გვერდით დაამკვიდრა ავტორის პოზიციის გამომხატველი ახალი ლიტერატურული ფორმა. ესე მომცრო ზომის ნაშრომია, რომელსაც არ აქვს პრეტენზია, რომ იყოს დასრულებული და ყოვლისმომცველი. მონტენის ნაშრომის სათაურთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ: «თუ გავითვალისწინებთ, რომ მონტენი სკვპტიკოსი იყო, შეიძლება ითქვას, რმ ეს მისი მიზნისათვის გამოხატვის ადეკვატურ ფორმას წარმოადგენდა. ქართულად იგი შეიძლება ითარგმნოს როგორც «მცდელობა», ანდა «წერილი»; მაგრამ ახალ ფილოსოფიაში ავტორის შეხედულების ამ სახით გამოთქმის საჭიროების გაცნობიერების გამო, ესე, დიდი წინააღმდეგობის გარეშე, კიდევ ერთი ინტერნაციონალური ფრანგული სიტყვა გახდა (თევზაძე 2008) მონტენმა განავითარა ესე, როგორც ჟანრი ერაზმუს როტერდამელის «ადაგიას» (ლათ. *Collectanea adagiorum*) მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ანტიკური ანდაზების, აფორიზმების, შეგონებების, სხვადასხვა ტიპის ხალხური თქმების კრებულს და მის კომენტარებს. ამიტომაც არის ნათქვამი: “ესე აფორიზმის უფროსი ძმაა”. მონტენმა ეს ფორმა უფრო განავითარა და შეეცადა ხალხური თუ ანტიკური სიბრძნე ახალი კომენტარებითა და კრიტიკით განეხილა. ამასთან, იგი ცდილობდა, უზენაესის, აბსოლუტის შესახებ არსებული სქოლასტიკური თვალსაზრისი

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

გაეკრიტიკებინა და საკუთარი შეხედულებები და გამოცდილებები წარმოეჩინა. მონტენი თავის ნაწარმოებებში მრავალ შეკითხვას სვამს, რომელთა უმრავლესობაზეც ვერ პოულობს პასუხს, დღეისათვის ითვლება, რომ კარგმა ესემ ახალი კითხვები და/ან საკითხები უნდა წამოჭრას, წარმოაჩინოს პრობლემები, განსხვავებული პოზიცია. საკითხის წვდომა და მსჯელობის განვითარება ძალდაუტანებელი უნდა იყოს იმდენად, რომ მკითხველსაც ადვილად გაუჩნდეს ასოციაციები და საკუთარი აზრი თუ თვალსაზრისი. შესაბამისად, ესე არ უნდა იყოს დოგმატური შეხედულებებით მდიდარი (ზედმეტად გაჯერებული).

ფრენსის ბეკონმა პირველად ინგლისურ ლიტერატურაში საკუთარ ნაშრომებს, რომლებიც გამოსცა 1597, 1612 და 1609 წლებში უწოდა ინგლისურად essays. ბეკონმა განავითარა ესეს ჟანრი. მის ტექსტებში ესეს მორალიზირებული ფორმა აქვს. ბეკონი იყენებს დედუქციური დასაბუთების მეთოდს. შესაბამისად, ესე მორალისტებისა და განმანათლებლებისათვის საყვარელ ლიტერატურულ ჟანრად იქცა.

ენციკლოპედისტები შეეცადნენ არსებული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ფორმა სამეცნიერო სტილად შეეცვალათ და განევითარებინათ. ისინი ტრაქტატის ნაცვლად იყენებდნენ ესეს ფორმას, სადაც თავისუფლად თავსდებოდა ობიექტური მსჯელობა და შესაბამისი დასკვნები.

ინგლისელმა პოეტმა და დრამატურგმა, ბენჯონსონმა პირველად გამოიყენა სიტყვა ესესტი (ინგლ. essayist) 1609 წელს.

XVII-XIX საუკუნეებში ესე ერთ-ერთი წამყვანი ჟანრი იყო ევროპულ ჟურნალისტიკაში. ესეს ჟანრი განავითარეს დოდრომ, ვოლტერმა, ლესინგმა, ჰერდერმა. ესე იყო რომანტიკოსთა ფილოსოფიურ-ესთეტიკური პოლემიკის უმთავრესი ფორმა (ჰაინე, ემერსონი, ტორო).

მეოცე საუკუნეში ესესტიკა კიდევ უფრო ვითარდება. ესესტიკის ჟანრს მიმართავენ ცნობილი ფილოსოფოსები, პროზაიკოსები, პოეტები, მაგ. რომან როლანი, ბერნარ შოუ, ჯორჯ ორუელი, თომას მანი, ანდრე მორუა, ჟან-პოლ სარტრი და სხვ.

ვალტერბენიამინი წიგნში « ავტობიოგრაფია III » თავისი ესეების შესახებ აღნიშნავს : «მისი ამოცანაა მეცნიერების ინტეგრაციის პროცესი ანალიზის საშუალებით ხელოვნების ნიმუშად აქციოს, რომლითაც შესაძლებელი იქნება პირუთვნელად აისახოს ეპოქის რელიგიური, მეტაფიზიკური, პოლიტიკური, მეცნიერული ტენდენციების შეცნობა ».

ესესტური მეთოდი ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ერთსა და იმავე საკითხს, პრობლემას განიხილავს და აფასებს სხვადასხვა პერსპექტივიდან. თუმცა უმთავრესი არის არა წინააღმდეგობრივი შეხედულებები, არამედ მკითხველთა თვალწინ მომდინარე აზრთა განვითარება. მრავალი ესე იკითხება გარკვეული სიმსუბუქით, სტილისტური ... და იუმორით. თუმცა შეხედულებების განვითარებას საინტერესო და სერიოზულ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

დასკვნებამდე მივყავართ. თხრობა ქრონოლოგიურად ვიტარდება, ციტატები მოხმობილია ისე, რომ აზრი კიდევ უფრო ნათელი გახდეს და არ გაბუნდოვანდეს. თუმცა ამის მიღწევა სულაც არ არის ადვილი. ხშირად გვხვდება სქოლიო, ციტირება, შენიშვნა, რაც კიდევ უფრო აზუსტებს ავტორის მოსაზრებას. შესაბამისად, ესე არის სტილისტური, ესთეტიკური და კრიტიკული თხრობა.

იმ დროს, როდესაც ავტორი მეცნიერულად აანალიზებს საკითხს, მოეთხოვება თემის სისტემატიზაცია და საკვლევო საკითხის შემოფარგვლა რაიმე ნიშნით. ესე არის აზროვნების განვითარების მცდელობა, კონკრეტული საკითხის შესახებ შეხედულების გამოთქმისა და დასაბუთების ფორმა, სადაც აზრები და შეხედულებები ნათლად უნდა იყოს გადმოცემული.

მონტენი « ესეების » ერთ-ერთ თავში « ჩვენი წარმოსახვის ძალა » წერს : « მე დაუძინებელი მტერი ვარ ყოველგვარი ვალდებულებებისა და აუცილებლობისა, ძალდატანებისა; მე მუდმივად ვაწყვეტინებ ჩემს თავს თხრობას, რადგან არმ ყოფნის სუნთქვა; მე არ მაქვს უნარი, რომ რაიმე დაწყობილად, დალაგებულად და ნათლად გადმოვცე; პატარა ბავშვებსაც კი ვაჭარბებ ყველაზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოხმარების ფრაზების მოუქნელობით ». ბუნებრივია, მას, როგორც ესესტიკის ჟანრის ფუძემდებელს, კარგად ესმის ესეს წერის სირთულეები. ლაკონურობა, აზრის მწყობრად და ნათლად გადმოცემა, გადაუტვირთავი ფრაზები, მკითხველზე ორიენტირება ესეს უმთავრესი მახასიათებლებია. ის, თუ როგორ მუშაობს მონტენი ესეზე, მის ტექსტშივე იკითხება : « მავანნი და მავანნი ადამიანებს ქმნიან. მე კი მხოლოდ მოგიტხრობთ მის შესახებ, მის პიროვნებას აღვწერ. მე რომ მისი თავიდან გამოძერწვა შემეძლოს, სიმართლე გითხრათ, სრულიად სხვაგვარად შევასრულებდი ამ საქმეს. მაგრამ ყოველივე უკვე აღსრულებულია და ამაზე ფიქრიც ნაგვიანეია.

ჩემი ნახატის შტრიხები ჭეშმარიტებას არაფრით ამახინჯებენ, თუმცა გამუდმებულ ცვლილებას კი განიცდიან.

ჩემ მიერ აღწერილ საგანს ისეთად აღვწერ, როგორც იმ წუთში ვხედავ... მოძრაობაში... უნდა გვახსოვდეს, ჩემი მონათხრობი გარკვეულ ჟამს შეეხება _ მე ხომ შეიძლება, უცბად შევიცვალა... ჩემს ნაწერებში კი საგანი ზუსტად ისე აღინუსხება, როგორც ოქმში _ ცვალებადობის მიზეზი ხან ჩემშივეა, ხანაც განსხვავებულ სიტუაციაში _ რის გამოც სხვადასხვაგვარად წარმოჩნდებიან საგნები, ანდა, იმ განსხვავებულ თვალსაზრისებში, რომლითაც მივუდგები ხოლმე ამ საგანს. და აი, გამოდის, რომ ზოგჯერ ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები, ჭეშმარიტებას კი _ არასოდეს... მხოლოდ ჩემსავე თავს».

მონტენის ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ესეს წერის მეთოდის სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულია.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ქართულ ენაში ესეს დაწერილობის რამდენიმე პარალელური ფორმა არსებობს: ესე, ესე, ესეი, ესსეი და ა.შ. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში სწორ ფორმად მითითებულია ესე (იხ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ტ. ...), ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ესე, ესე, ესსე საერთოდ არ არის შეტანილი.

პირველი ესეისტური ჟანრის ნაწარმოებები ქართულ ენაზე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, რეალიზმის ეპოქაში იქმნება. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წერის ესეისტური ფორმა ხშირად გვხვდება.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო სხვადასხვა სასწავლო მასალასა და სახელმძღვანელოში იხმარება ესე. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია ერთი ტერმინის დამკვიდრება

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თევზაძე გ. აღორძინების ეპოქის ფილოსოფია: (მარსილიო ფიჩინოდან იაკობ ბოემემდე) / რედაქტორი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ირემაძე / გამ-ბა „ნეკერი“ თბ., – 2008 ISBN 978-9941-404-13-9
2. ფილოსოფიის ისტორია ტ. I / შეადგინა ივან მარტინიმ M.I.; [იტალ. თარგმნა მარიკა სააკაშვილმა ; რედ. ზაზა შათირიშვილი ; სულხან-საბა ორბელიანის სახელ. თეოლ., ფილოს., კულტ. და ისტ. ინ-ტი] - [თბ., 2008]
3. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონურიდიასხვ.; რედ.: ვაჟაგურგენიძე] - თბ., 2004
4. ჭაბაშვილი მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვ. დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. - მე-3 შესწ. დაშვეს. გამოც. - თბ. : განათლება, 1989.